



N 10
მ ა ი ს ი 1933


ერთი თვის ხელფასი — გეოგრაფიკა
ВСЕ КАК ОДИН ПОДПИСЕМСЯ

ხუთწლიის პირველ ხელფასს
НА ЗАЕМ ВТОРОЙ ПЯТИЛЕТКИ

ნახ. ღონის

ს
ა
ს
ხ
ი
ა

ფანსი 40-3



ოკორბუნისტი: — ცხრაას თო-
თხმეტში ომის დროს მხარი დავუჭი-
რე მთავრობის სესხს. ეს წმენდის
დროს ბრალდებად წამომიყენეს. მას
შემდეგ მთავრობის ყოველგვარი სე-
სხის წინააღმდეგი ვარ.



საქართველოს სოციალისტური რევოლუციის ანთროპოლოგი

ნიანგის მოწოდება

ქი-ღ-ე-შ

ისმინეთ ჩემი
 ეს მოწოდება,
 დე, მოყვებს ამას
 მტრების გოდება...
 სიტყვა მაქვს „მეორე
 ხეთივლელის“ ხესხზე,
 მტერს გული მისდის
 ვერ დგება ფეხზე...
 მათ ასე უთქვამთ:-
 — სად აქვთ ფულდება?
 ვითომ წყლისგან ვართ
 წაღებულდები...
 ხა, ხა, ჩემ სედავთ
 „ტყუის კოლოფებს“:
 შიტლერს,
 მაკდონალდს
 და რიუნდბერგებს.
 უნდათ მშრალათა
 ვაფილენ ფონსა,
 რომ არ დააკლონ
 თვის სისხლს ან ქონსა.
 მაგრამ მათ ტყუილს
 აქვს მოკლე ფეხი,
 მუდამ ატყდებით
 თავს რისხე თ მენი.
 სხვა გვაქვს ცხოვრება
 და გზაც სწავფერი,
 ჩვენ არ გვჭირდება
 მტრის არაფერი.
 ოღონდ კი ერთი
 გასსოვლეთ ყველას,
 მტერი არ მოგცემს
 ხსნასა და შველას,—
 თუ ჩვენს ქვეყანას
 არ ღვსცემთ სესხსა,
 თუ არ იხვეციდით
 ერთმანეთს ზელსა.
 ნიანგკორებო,
 სიფხიზლე მეტი,—
 ზოგს თქვენი კალმის
 არ აწყენს წიბი...
 თვით აწარმოეთ
 ხელის მოწერა —
 მილიარდს აკრეფთ,
 ეს კარგათ მჯერა.

ყუმაბარა

წახულ ნომერში კოლმეურნეს თხოვნით მომართე,
 რომ მას მართებდა მეტი შრომა, მეტი სისწრაფე;
 რომ არ მოხვდოდა ხენა - თ ესვაში ჩავარდნა - მარცხი, —
 არ დაეტოვა დაუხნავი და დაუფარცხი —
 კოლექტიური შრომით — მიწის ყველა ნაკვეთი,
 მაგრამ არ ეფარავ მომივიდა აქ მარცხი ერთი:
 საქმე საჯარო იუმორისტს მით დამემართა;
 (ასოთ-ამწყობში, კორექტორმა ეს გაშიშართა!)
 ხენა - თესვა, როცა კოლექტივმა სულ ვაათავა, —
 გადაჭარბებით შეასრულა ის, რაც ითავა, —
 მე მხოლოდ მაშინ გამოვიღე ყურადღან ხამმა,
 დამიგვიანდა კოლექტივთან კავშირის გაბმა!
 ხელმძღვანელ რომ ასეთი რამ არ დამემართოს,
 ანლა ვაქვეყნებ ნაადრევადამ ჩემს მიმართვას:
 გასაგებია, ვფიქრობ, ანლა რატომ ვისწრაფო:
 მსურს, რომ გავაშა კოლექტივთან კავშირის ძაფი
 ასეთი ჩემი აჩქარება რა აუღია,
 როცა კოლექტივს სწრაფი ტემპით თვით აუღია!
 რას ემგვანება, რომ მას კულში მივანაწილებდე!
 ბრმა სათვალეებს ვატარებდე მე სად თვალბეზე!
 იუმორისტი, თუნდ მოლექსე ნაძალადევი,
 წინ მიდიოდეს უნდა ამაყ მსხე ბელადივით!
 უკან მიმდევრებს ის უწევდო შეხაფერ კარნახს:
 როდის დაბარვა, გასხლა უნდა, შეწამულა ვენახს!...
 მაგრამ, ჩუ... რა ვქნა, რა ხა ვბედავ, რა მეფურება!
 ასოთ-ამწყობში, კორექტორი კვლავ შემდღურება!
 გაჯავრებული მკითხველე ბოც მე მიბლდვრიანი!
 ეს მიმართვაც მე, ეტყობა, რომ დავსწერე გვიან!
 ხანამ თქვენ ამ ლექსს წასაკითხად ჟურნალში ნახავთ,
 მიხდვრები, თურმე გაუმა რგლავთ და გაუთოხავთ!...
 ს. თ-ია.

ს-თია აქაც გვიანობს
 კაცი ფსიხელი აჭრისა,
 მაისში ვინ გაიგონა
 გათოხნა, გასხვლა ვაზისა!
 ვინც მართლა აგრე „მუშაობს“
 ეტყობა, რომ შამაცია —
 ცხადია ბევრსაც მიირომევს
 ღვინოს მოხუდლსა ზვარშია!
 — ასოთამწყობი.

საქართველოს სოციალისტური რევოლუციის ანთროპოლოგი

№ 11-12

ოქტომბერი

საქართველოს სოციალისტური რევოლუციის ანთროპოლოგი

2



ჯენტლმენების თათბირი

ქართული
ინტელიგენცია

მეორე ხუთწლედის სესხის გამოშვების გამო სერ ურკვენტი—ენდსლი ეკეთებს მოხსენებას ჯენტლმენთა საერთო კრებაზე.

სერ ურკვენტი: — ამრიგად, ჯენტლმენებო, საბჭოებმა ხუთწლიანი გეგმის რეალიზაცია უკვე მოახდინეს (აღვლიდან: — მერე და როგორ, ოთხ წელში!) დიახ, ოთხ წელში, როგორც სამართლიანად აღნიშნაეს ლორდი გიბრიდი... ახლა, ქალაქ ტულის მუშებმა და მათთან სწვებმა მთავრობას მოსთხოვეს ახალი სესხის გამოშვება (რებლიკა: — ჩვენს მუშებს გვანებან!) ნუ მიშლით! მოსთხოვეს და მთავრობამაც დააკმაყოფილა... გამოუშვა სამი მილიარდი მანეთის სესხი (აღვლიდან: — სამი მილიარდი ჩვენ რომ გვასესხოს ამერიკამ, ფეხზე წამოგდებთ!) ამერიკა რას ვასესხებს, თითონ კრიზისშია!...

თავმჯდომარე: — განაგრძეთ, თემაზე ილაპარაკეთ!

სერ ურკვენტი: — დიახ, იმას მოგასხენებდით. ხუთწლედი ოთხ წელში შეიკოოს და როგორც უკვე ცნობილია, უძლიერესი ინდუსტრიაც აქვთ... (რებლიკა — რაღა გვიჭირს!).

ლორდი გიბრიდი: — ნუ თუ ჩვენა ზომებმა არ გასჭრა?

სერ ურკვენტი: — წარმოიდგინეთ, არ გასჭრა. პირველად ჩვენ მოვაწყვეთ ინტერვენცია...

სერ ჯაზბანდი: — არ მახსოვს, მაშინ პატარა ვიყავი.

ლ. გიბრიდი (დაცინვით): — დიახ, პატარა, ორმოცი წლის ძლიერ იქნებოდით. თქვენ არ იყავით ინტერვენციაში ორი პილიონი რომ დახარჯეთ?

სერ ჯაზბანდი: — თქვენ მეტიც დახარჯეთ!

თავმჯდომარე: — დამშვიდდით! განაგრძეთ!

სერ ურკვენტი: დიახ, მთვასენებდით, რომ ინტერვენცია ჩვენთვის სანარცხვინოდ დამთავდა. შე-

მდეგ გამოუცხადეთ ყოველმხრივი ბოიკოტი (რებლიკა: — მახსოვს, არ გასჭრა!). დიახ, არ გასჭრა. შემდეგ ვითქობდით, რომ ნები მოსპობდა ბალშირიკებს, მაგრამ რას ვხედავთ მოსპო კი არა, გააძლიერა! დიახ შემდეგ ვიფიქრეთ, რომ კულაკები

სესხი

რაღად გონდა ბევრი ბეობა, ყველამ იცის სესხის ძალა, მტერს ჩვენ მისი საშველებით გამოგავლეთ პირში ჩალა. „ეს ხუთწლედის ზღაპარია!“. იძახოდენ ჩვენი მტრები, მაგრამ ნახეთ რამდენი გვაქვს დღეს ახალი ტაბრიკები; როგორ დევებს დანებგავსენ გიგანტები ჩვენი ქვეყნის, — ძველ სამყაროს ჩვენს წინაშე ძალა აღარ შესწევს კვენძის.

გამოუფალი კრიზისი დამპალ კაპიტალს აოხრებს; ჩვენ ვაფართოვებთ, ვავიწვებთ საბჭოთა მეურნეობებს. პირველ ხუთწლედს სესხმა მისცა საშველება, ძალა, ღონე, უაღრესად აქწია ხალხის კულტურული დონე! ამ პრწყვალე წარმატებამ მოგვცა აზრი პრაქტიკული: ახალი მიღწიებისთვის კვლავ ვავიღოთ სესხით ფული რომ ჩვენ სოციალისტური შექმნათ საზოგადოება, სადაც კლასი მჩავერდების და ჩავრულდა — არ იქნება! მიტომ პირველ წელიწადში ამ მეორე ხუთწლედისა, უკვამ, ვლენმა, მეცნიერმა, ყველამ უნდა ვახსნას ქისა! მხარი მივცეთ ტულის მუშებს აღარ შევირცხვინოთ პირი, და ვადავდოთ სესხისათვის ჩვენ თითო თვის ჯამავირი.

შირიშვილი

ვეიშილიდენ სოფლად და ჩვენებს აღადგვიდენ (ჩემბერლენი — არ შეგქამოს ქირმა!) მერე ვიფიქრეთ, რომ რადგან არც ერთი სახელმწიფო სესხს არ აძლევს, თავისთავად ილუბებთან (კერზონი საფლავიდან: — მე დამლუბეს, თორემ თითონ ქეიფობენს!) წარმოიდგინეთ, არ დაილუბენ... მოვაწყვეთ აგრეთვე თავდასხმა ბოლშევიკების წარმომადგენლობაზე (ხიკი ყუფს: ჰამ, ჰამ).

თავრე (უყვავებს): — ქუცი, ქუცი შე საბრალო შურია!

სერ ურკვენტი—დიახ, არც ამან გასჭრა. შეუდგენ რეკონსტრუქციას, ესე იგი პირველ ხუთწლედს და და ამთავრეს (ლორდ რიტერმირი—სამ-წუხაროა!) რაღა თქმა უნდა, სამ-წუხაროა, მაგრამ რას იზამ. გუშინ ღამ საეპრო კავშირიც გავწყვიტეთ, მაგრამ წარბიც არ შეუხრიათ. ახლა აქვთ მოწინავე ინდუსტრია და კოლექტივიზაცია. ხოლო სამხედრო ძლიერების მხრით ნულარ მკითხავთ. თავიდან ფეხებამდე შეჯავშნული არიან (დებერდინგი — ცხვირს წამოყოფს: — მე მაინც მოვაწყობ ინტერიორიას!

ლორდი გორჯი (ღექსით): ეტყობა სერ დებერდინგს აღარ სწყალობს თავის დინჯს!

სერ ურკვენტი: — დიახ! მართლაც საფრთხე დიდია. ომის გამოცხადება არც ისე ადვილია... ბოლშევიკებს უკვე მოწინავე ტენიკა აქვთ!

თავმჯდომარე (თავზე ხელს იტაცებს): — ღმერთო ძლიერო! ეს ყველაფერი ბოლშევიკებმა შესძლეს საკუთარი ძალებით...

ლორდი გიბრიდი: — იმ წვეულ მუშათა ინიციატივით...:

სერ ურკვენტი: — დიახხხხხ!

ლორდი გორჯი: — ეგრედ წოდებულ შემოქმედებითი ენტუზიაზმით!

სერ ურკვენტი: — დიახხხხხ! ერთად — ვაი ამ საათს! ალლარ-ალლარსან.

პატაკი ნიანგს სტუდენტთა ქალაქიდან

ყომენდანტად დაგვიყენეს ნეფარიძე ჩვენ ყორყიკა ფას ქაბუკი უკეთესი საქმეები მიყავს „შიკათ“. „დამრტყმელი“ პირველ რიგის უყვარს ლანძღვა, უყვარს ჩხუბი, ვისთან ვინდა ძმობა ნიანგ, ის არ იყოს წინაჩხუბი. სტუდენტებზე რომ მოვიდა აქ ფართალი დასარივი

დატრიადლა მსწრაველ ყორყიკა სქევა — მე უნდა მოვსპო რიგი. და სტუდენტობას შესძახა „დაიშალენით ყველაო ფართალს მე ვაგინაწილებთ; არ მინდა თქვენი შევლო და მართლაც ისე ვაქრო მან დასარივი ფართალი, ვის მისცა, ან სად წაიღო, კაცმა არ იცის მართალი.

პარტო ამას არ დაჯერდა რადგან არვის ქონდა რიდი პურის სპეკულანტებთან მან ფარულად გასდო ხიდი. თორმეტი კაცის წიგნაკის მან ბახარზე ყიდა პური მას გონია შერჩა, მაგრამ აეწევა მაგრად ყური.

ნიანგური.





ვიწყებ ზაფხით
(ქრონიკის წესით)
ვუმატებ აბჰესს,
კვლავ რიონწესსაც ჩავწერ სიაში..
ყველა ეს—

მხოლოდ პროვინციაში!
დედა ქალაქებს,
ხედავთ, რას აგებს?
ქარხნებს, ფაბრიკებს
სდგამს და არაგებს
ყოველს უბანში, ყოველს კვარ-
ტალში

საჭიროება არის ფართალში?
საქსოვ ფაბრიკებს
უნდა აგება!

არც დეკორაცია!
არც გადაღება!

სოქვა დიქტატურამ?
უნდა ასრულდეს!

სადმე საზღვრად, რომ საქმე გა-
რთულდეს,
მეტალურგიის გვინდა ქარხნები!
მუდმივი ზავი თუ ჩამოდგება,
სხვებრ ეს ქარხნები არ გამოდ-
გება?

გადაკეთდება სულ სხვა მიზნებით
ომს, მართალია, გავემზღნებით
მაგრამ შრომაში

დავრჩებით ურჩად,
თავს კომუნის
რომა ვგრძნობთ ბურჟუად!

ქვეყანა იქცეს
მთლად ინდუსტრიად

საქირო არის
ფრად და ფრად!

ახეთ საქმეს ხომ უნდა სახსრები?
თვისით არ ჩნდება

ეს ფაბ-ქარხნები,
არც კაპიტალიზმს

ხელს აძლევს, რომა
დახარჯოს ჩვენზე

ფული და შრომა.
ჩვენ თვით ვიტვირთეთ

ეს მშენებლობა.
მაშ, ჩვენვე გვაწევს

ვალდებულობა,
რომ მივცეთ ფული,

მთავრობას სესხად!
ვამბობთ, ვამტიციებთ,

ჩვენ ამას ერთხმად!
და მაშ, სიცხტელ

რათ ჩამეთვლიება,
თუ, რაც დონე მაქვს

და რაც შეძლება,
მეორე ხუთწლედის

სესხს რომ ხელს ვაწერ,
არც მეტს, არც ნაკლებს

თვიურ ხელფასში!

წაიკითხე გაზეთი—რა ხაბარი სწერია?
მუშები სესხს ითხოვენ კიდევ ახალ სერიათ:
თუო, პირველ ხუთწლედის დი დი გამარჯვებოო,
ამ მეორე ხუთწლედის საფეხურათ ხდებოო,
და საფეხურს ხომ უნდა მაღალ კიბეთ ქცევოო,
ზედ რომ სოციალიზმის დრო შა იწვევოო.
და ჩვენს წინსვლას რომ მივცეთ უფრო მეტი ეშხიო,—
მთავრობაჯან, მოგვეცი კვლავ ახალი სესხიო.
მიტომ ფართიფურობენ მუშა ქალი-კაცია,
ყველას უნდა ამ სესხის ჰქონ დეა ობლიგაცია.
ჩემ ბემურაზ თავს უთხარ—ხედავ? ჰიშტა ჰქონიათ:
და ეს სესხი მაზალოთ მიტომ მოუფონიათ,
რომ ორგვარ სარგებლობის გემო ნახონ, ვაიგონ;
ჰამ ქვეყანა აშენონ, ჰამაც ფული მაიგონ.
ვა, შენც დაფიქრდი რალა რა მტუქაა ამაში
რა იკრი-ბაჯროთ ხდება ტირა შების თამაში:
ვთქვით დღეს შენ ხარ ღარიბი, მახეთების მნატრონი,
ერთიცი ვნახოთ, ხვალ ხლები ათასების პატრონი.
— როგორ, როდის, ვინ მოგცა დასტა ასიგნაცია?
— ეს მიტომ რომ—შენ გქონ და სესხის ობლიგაცია
ერთ მაგალითს მოგიყვან სესხის სარგებლობაზე:
შარშან კასპში ვიყავი, დამპატი იყეს ბლობაზე,—
იქ ეხლა ქარხანაა დიდი უზარმა ზარი,
გვერდზე სოფელი აკრავს და სოფელთან ბაზარი!
ბაზრობაზე გავსულვარ, და იქ რა მიწახია:
დიდი კაკლის ჩრდილის ქვეშ შეგროვილა ხალხია
და ქარხნიდან გამოსულ ჩვენ ყიყვიან გოგებას.
ულოცაიან უეცარ გამდიდრებ ა-მოგებას
გკითხე, საქმე რაშია, ვინ არის ეს კაცია?
მითხრეს:—ბლობათ მაიგო მა გის ობლიგაცია.
მასხოეს მან უხალისოთ მოაწეო ხელია,
შესატან ხვედრს იხიიდა თითქმის შაიელი წელია,
უხლუნობდა—რა მინდა, რა ში გამომადგება?
მაგას ღვიბო არ ჯობდა! კუჭში კუპრად ჩადგება.
მაგრამ როცა ტირაყმა მოუტან ა მოგება,
მამან ჰკიაზე მოვიდა ყიყვიანი გოგება:
იძახის თუ—მასები უნდა გრძნობდენ მხნეობას,
რადგან სესხი ხმარდება იმათ კეთილდევობას,
სახელმწიფო შენდება, შენ სქამ, გზოთავს აცვია,
მდიდარი ხარ თუ კი გაქვს სესხის ობლიგაცია.
განა მარტო გოგება დადგა ასეთ ეშხედა.
ყველა მუშა, თუ გლები ხელს აწერავს სესხზედა.
და დღეს მაშში სესხისგნით ბე ვრიც შეძლებულია,
შემწახველ სალაროში კალთით შეაქვს ფულია.
ამ ფულების პროცენტი, სესხის ღირებულება,
სიმდიდრეა, მას მოიამ თავის ად ეგულება
და ეს ლუქმა ჰალალი ვის არ მოეწონება,
სესხზე უარს ვინ იტყვის. ვისა ც კი აქვს გონება
ახალ ქვეყნის შენებას ინც კი გაუტაცია,
ჩემმა მზემ უნდა ჰქონდეს იმას ობლიგაცია
პუბუზ, არც კი აცლიან ოჩირედში დგებიან,
სესხზე ხელის მოწერას ისე ელ ოდებიან,
რომ იფიქრებ — პირველმა თუ არ მოვაწერეო
ვან თუ ობლიგაცია აღარ და რჩის მერეო!
მართლაც ახრიზამანში სწორი თადარიგია,
ჩადექ რალა ჩემს უკან, დაიქირე რიგია,
თან ყიხმათს მოეფერე მომლო დინე ბედისა,
რომ მთლად მოგებათ გვექცეს სესხი ამ ხუთწლედისა,—
ვინც რომ ამას არ იზამს, ის ბედასლი კაცია—
მარტყი რალა სიყმეში სესხის ობლიგაცია.





გულუხვი მეზობლები

ფაშისტური გერმანია ცდილობს ხელში ჩაიგდოს დანციგი და ამის
საკონპესაციოდ პოლონეთს შპირდება საბჭოთა უკრაინას, რომლისაგა-
ნაც არაერთხელ დარჩენილა პოლონეთი პირში ჩალა გამოვლენული“.

ნახ. ნადარეიშვილის.

საარაკო ბევრი ხდება
ამერიკა - ევროპაში,
სადაც არის ფაშისტების
ხულიგნობა და პარპაში.

აი თუნდაც რომ ავილოთ
ჩვენ დანციგის კორიდორი.
ჩაფრენია წასაღებად
ამ საცოდავ კვერცხს ეს ორი.

გერმანია ეუბნება:
— მეზობელო, გამიგონე,
ჩვენში მტრობის მოსასპობად
აი მე რა მოვიგონე:

მე ეს კვერცხი დამანებე,
შენ კი გქონდეს იგი წერო.
წეროს გაძლევე კვერცხის ნაცვ-
ლად,
ესურს — პირობაც დაგიწერო!

პოლონეთმა ასე უთხრა:
— ვის ატყუებ ჭკუითაო?
ხელში ვიგდე ეს დანციგი
„ვაითა“ და „ვუითა“.

რამდენიც სურს იმ თქვენს შიტ-
ლერს
ილაყბოს და წეროსაო;
მე ეს კვერცხი მიჩვენია
ცაში მფრინავ წეროსაო.


მეც მინდა, რომ ჩემი იყოს
სიყვარულში დაეაჯერო;
დიღბანს ვსდიე, თავს ვესხმოდი
და ვესროლე მრავალჯერო, —


მაგრამ მაინც ვერ-რას გავხდი,
კვლავ ნავარდობს იგი ცაში;
მე ეს კვერცხი მიჩვენია
დამერწმუნე შენ ამაში.

კარგად ვიცი—გენმარება
ნავთის მეფე—დეტერდინგი,
მაგრამ ვწამდეს — ამ დანციგზე
მიგატყდება შენ მაგ დინგი.

და ამიტომ ასე გეტყვი,
და გირჩევ, რომ დამიჯერო:
დამანებე მე ეს კვერცხი;
შენი იყოს იგი წერო.

ისელი.





— ეს გრიზას შვილი, ფირუზა, მე რომ ჩამცივებია და სულ ჩემს ნაქნარობას წერს, რატომ ამ სტუდენტებზე ხმას არ იღებს? კინტობა რომ ცული იყოს, — ეს სტუდენტები მე მომბაძავდნენ?

მშენებელი სალარო.
ეს რა კარგი რამეა!
იმედი მაქვს ყოველთვის
დღე არის თუ ღამეა.
ფულს არ ვაპნევ სხვებსავით
არაყსა და ღვინოში
და სანაცვლოდ დავდივარ
თეატრში და კინოში
მშენებელი სალაროს
ამ მშვენიერ წიგნაკო,
არასოდეს ვიშორებ
და ჯიბეში თან მაქვსო.
ვეუბნები: „წიგნაკო,
მისთვის ვიღებ უბეში,
რომ დამჭირდეს ფულეში,
შენ ხარ ჩემი ნუგეში“.
მშენებელი სალარო,
გენაცვალე ყიაში.
ფულს სახლში არ ვაჩერებ
დაკეტილს და ღიაში.
შეგარცხვინე ვინც ფულებს
სახლში ჩუმაღ ინახავს;
საიმედო შენსავით
მე სხვა არვინ მინახავს.
უნდა ჰქონდეს შენ ყველა
საბჭოთა მოქლაქეს
ვხედავ ამდენ გიგანტებს
ვხედავ — ახალ ქალაქებს.
შველის სახელმწიფოსაც
თვითთული გროშია
და უშუროდ არ ვარცა
კაცი ამ ჩვენს დროშია.
მშენებელი სალაროს
ამ წიგნაკის ქონება,
თქვენში, აბა მითხარით,
ვის არ მოეწონება?
მშენებელი სალარო,
ეს რა კარგი რამეა.
იმედი მაქვს ყოველთვის
დღე არის თუ ღამეა!

კინ-ტინ-ტინ

ლაყბობა და სინამდვილე

ხშირად იცის მან ლაყბობა:

— „ამ ხუთწლიდში, იმ ხუთწლიდში“

ჩვენ ავაგებთ სოციალიზმს, მტერს ჰე მოვხრით ამით წელში!

რას მიქვია სიზარმაცე (თვით ყოველთვის უქმათა ზის) ვინც არ შრომობს, ის არა სჯამს, შორს, შორს ჩვენგან, ყველანი ძირს!“

ამას ამბობს და ქადაგებს „ჩვენი“ საშა ზარმაცაძე თავიც აქვს და ქუდიც ხურავს, უკეთესად ცხოვრობს სხვაზე.

— „რაო... სესხი მოითხოვს? რას მიქვია, უი, ბეჩა! და ამ კაცმა „საქებარმა“ იწყო უცებ თავს ქება! მილიონებს ვერ აჩერებს გაიძვრას „იმე ბეჩა“. ზარმაცაძე კი იძახის: „უდივბტელნაია ვსტრენა“.

კალმოსანი





„წიგნის უფორმება“

გერმანიის არაბაგანდის მინისტრი — ნაც-სოციალისტი გებელსი — სახე შექმნილი იჯდა თავის კაბინეტში. უფროდ სახე სიხარულის სიგმა გაუშუქა მარჯვენა ფეხის ქუსლზე შემოტრიალდა და ზარი დააწკარუ-
ნა.

წამსვე გაჩნდა ბრვე მოიერიშე.
— ახლვე გაქანდი, და ხუთი წა-
მის განმეგობაში აქ მომიყვანე საუ-
კეთესო ქირურგი და საუკეთესო
ბაქტერიოლოგი. მხოლოდ, ფოთხი-
ლად შერჩევის დროს: ორივე მეც-
ნიერი წმინდა გერმანული სისხლის
უნდა იყოს!...

ბრძანება ზუსტად იქნა შესრულე-
ბული.

— ბატონებო, — მიმართა გებელსმა მეცნიერთ, — დადგა დრო, როცა თქვენ დღეიდან ფრიალ მალალი მო-
ვალეობა გეკისრებათ — შეამოწმეთ რადიკალურად განწყობილი ჩვენი პარტიის ყოველი წევრის ტვინი. ჩემი თანდასწრებით პირველი ობე-
რაცია მოახდინეთ ჩვენი პარტიის საექვო წევრზე — შულცზე.

მოიგრაშეებმა მსწრაფლ შემოიყ-
ვანეს შულცი. ის გააწვინეს საამპ-
რაციო მაგიდაზე. ქირურგმა დიდის ოსტატობით მოაძრო მას თავის ქა-
ლა და ამოუღო ტვინი, ხოლო ბაქ-
ტერიოლოგმა დიდხანს გულდასმით
იკვლია „დაავადებული“ ტვინის ბა-
ცილები.

— ამ უტვინო ტვინში მარქსისტუ-
ლი ბაცილების ნიშანწყალიც არ
არის, — მიმართა ბოლოს ბაქტერიო-
ლოგმა გებელსს, — ხოლო „პიტ-
ლეროიდები“ — დიდი რაოდენო-
ბით!

— საოცარია! მაშ საიდან მოდის
მაგის რადიკალიზმი? — გაკვირვე-

ბით წამოიძახა გებელსმა, — პა...
შესაძლებელია... პიტლერის წიგნის
— „ჩემი ბრძოლა“ — დან, — წიბურ-
ტყუნა ისევ თავისთვის გაურკვევე-
ლად, — მიუკერეთ ქალა! — ანიშ-
ნა მან ქირურგს.

— როგორ, მარტო ქალა?! — გა-
კვირვებით შეეკითხა ქირურგი, —
ტვინს ნუ ჩაუღებთ?..

— კმ, რა საჭიროა მაგისთვის
ტვინი! უტვინოთაც იოლად წავა!
ბრძანება მათემატიკურ სიზუსტით
შეასრულეს.

როცა საბრალო შულცი ზეზე წა-
მოდგა, მისი ყურადღება იქვე მდუ-
ბარე მისმა ტვინმა მიიპყრო.

— ეს რა გეჭიათ, ბატონო ექიმო,
ჩემი ტვინის ჩაღება დაგეწყებიათ!
რა მეშველება ახლა?!

— ნუ დეღავთ, მეგობარო შულცი,
ტკბილად მიმართა გებელსმა, —
ეს ტვინი თქვენ თავს გიმძიმებდათ,
განა ახლა სიმჩატეს არ გრძობთ?

— ოღონდაც! სიმჩატეს ისეთს
ვერძობ — თითქოს პაერში მივფ-
რინავ! მაგრამ როგორ და ვიპროვ-
ნო?

— მეგობარო, რა საჭიროა თქვენ-
თვის აპროვება! მერწმუნეთ ყოველ
გვარი ჭირი და უბედურება აპროვ-
ნებიდან მოდის! და მერე განა ჩვენ
— პიტლერი, პერინგი და მე — განა
თქვენ მაგიერ არ ვაპროვებთ?
შულცმა მადლობა გადაუხადა
გებელსს და გავიდა.

— ბატონებო, — მიმართა გებელს-
სმა მეცნიერთ, — დაწყება იღვალე-
რია! თუ ასე განვგრძობთ, სულ რა-
მოდენიმე კვირაში ჩვენ პარტიაში
ერთი ტვინიანიც არც დარჩება, და
მაშასადამე, რადიკალიზმიც აღმოა-
ფხვრება!

კურკანტაშვილი

ენების წარმოშობა

საბჭოთაო
საბჭოთაო

სხვა და სხვა ენების წარმოშობის
შესახებ ენათმეცნიერებაში არსებობს
სხვადასხვა თეორია.

ყველაზე ძველი თეორია არის
ბიბლიური თეორია, რომელიც გვას-
წავლის:

„ და გაკადნიერდა ხალხი ქვეყა-
ნასა ზედა და იყყო შენება გოდოლი
სა ბაბილონისა. სწამდათ ასელა ცამ-
დე და მიწვედომა წვერსა ღმერთისა
და ვადმოვდება ქვეყანასა ამას. და
განრისხდა ღმერთი და აღორია ენა
მათ, რამეთუ ერთმა არა იცოდეს
რას უბნობდეს მეორე, რა ვერა გა-
გეს ერთმანეთისა, მიატოვეს შენება
ბაბილონის გოდოლსა და სხვა და
სხვა ენითა მოლაპარაკენი წავიდ-
ნა. — წამოვიდენ ქვეყანასა სხვა და სხვა-
სა.“

ამგვარად სხვადასხვა ენა წარმოშო-
ბილა ენების აღრვევისგან.

კიდევ არსებობს სხვა თეორიები,
მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წავგე-
ყვანდა.

თანამედროვე ჩემი თეორიისა, რომლის
სინამდვილე უკვე დამტკიცებული
ჩემს მიერ, სხვადასხვა ენების წარმო-
შობა მოხდა შემდეგ ვარაუგებებში:

აღბად წინად არსებობდა უცხო
ენათა კურსები, რომელზედაც მსმე-
ნელებს ასწავლიდენ უცხო ენებს.
კურსებზე საქმის ცუდად დაყენების
გაო, მსმენელები ივიწყებდენ თავის
ენას და გირც უცხო ენებს ითვისებ-
დენ.

ამ ნიადაგზე მოხდა ენების აღრე-
ვა. მსმენელი ვერც თავის მშობლი-
ურ ენაზე ლაპარაკობდა ვასაგებად
და ვერც — უცხო ენაზე. ამ შეჯვარა-
დინება — დაჯახება მოგვცა სრუ-
ლიად ახალი ენები, რომლებიც არ
ესმოდათ ან მსმენელებს. ასეთ
ენებს ეწოდა — ჩიქორითული ენები,
რომლის ერთერთ სახეობაზე იწერე-
ბა ეს ჩემი ნარკვევი.

მკითხველი აღბად ფაქტს მომთ-
ხოვს ამ ჩემი თეორიის დასამტკიცებ-
ლად.

ინებოს — ტფილისის უცხო ენათა
კურსები, რომლის ერთერთი მსმენე-
ლთაგანი თითონ მე გახლავართ.

ეს ჩემი თეორია სხვათაგან ენების
წარმოშობის შესახებ მე შეგვექნი
უშუალოდ ჩვენი კურსების სინამდვი-
ლიდან.

ჩიქორითული ენიდან ჩანათულად
მთარგმნილი წმუკი

მერ მოსდრეკ

აქებდენ, ახლაც აქებენ სიღრმესა შავი ზღვისასა,
ვაყები მიღმით ვავიდის, სახლი დაიდგის სხვისასა,
გავმებს აწყობდეს სამხედროს მუნ შტაბსა პარიზისასა,
კარებზე მტვერთა ალოკდის მი ნისტრთა სასახლისასა!
ხუთმეტ წელ მძებნელ არიან ავანტიურის გზისასა,
ამაო იქნა მუქაჟა (რა დარჩე ნია ბიძასა),
საქართველოში ნუ ეძებ რაზემ მენშევიკისასა!
მოვაწყეთ კოლექტივები, ტრაქტორითა ეზნავეთ მიწასა,
ატენილს ვხედავ ტყეებსა მი ლების ქარჩნებისასა,
საკუთარ ძალით აგებულს და არა ბურჟუისასა!
მისტრებს ქონდათ იმედი ხმლისა და დამბარისასა
დღეს მეტოქესა ვერ ვხედავ ჩვენისა ზარბაზნისასა,
ვერ მოსდრეკ ძალას უძლეველს შინაურ სენსებისასა!

გაბა-გაბა





კაკლის ზვერზე

დიმბატორი... მბრძანებელი

მართლა არის ალბათ შტერი,
და თავში აქვს ჭკუა თხელი,—
ევროპაში დღევანდელი
დიქტატორი — მბრძანებელი.
აბა ამას კაცი იზამს?..
რადგან მარქსიზმს ის ვერ იტანს,
უბედური ჭკუას კარგავს
და კოცონზე „კაპიტალს“ წვავს.
ლენინიზმი მას აკოფებს, —
მბრძანებელი ყვირის, გოდებს
და ძილშიაც კი აბოდებს.

„ცეცხლი, ცეცხლი იმის ტომებს“.
სტალინი ხომ მასში იწვევს
იმდენ ძურს, რომ ვეღარ იტევს.
ახლოს ყავდეს, ფიცავს თვის მზეს
დუელშიაც გამოიწვევს...
და ამიტომ რა ქნას... ბრძანებს...
ცეცხლი, ცეცხლი მის ნაწერებს...
ალბად არის მართლა შტერი,
და თავში აქვს ჭკუა თხელი
ევროპაში დღევანდელი
დიქტატორი... მბრძანებელი.
მისვარდი.

გერმანელი ფაშისტები

ნახ. სხენიაშვილის



მხენიაშვილი 30

— მიხაროდა ფაშისტების ბამარჯვება; ვფიქრობდი: ჩვენი ქვეყნი არიან, დაგვიხმარებენ-მითქი. ესენი კი გამოსულან და ხელობას გვართმევენ, უფუფერად გვტოვებენ!

სწორი პასუხი

— სად გარბინა? —
შეცვითა აბესალომ. —
შეუღწეოდა ნაცრობ
დაახლოებულ მეგობარს. ჩვენ ქარ-
ხანაში მფრინავი მიტინგია. კამათში
უნდა გამოვიდეთ. უნდა ვსთქვა რამე.

— მერე და მიტინგი სად მიფრინავს?

— შიქ თავში თუ გიფრინავს, თვარა რა აბსურდულ სტუციებს აბრაზუნებ. როდის იყო რომ მიტინგი მიკრინავდა, — უპასუხა სხაპასუხით ერმალომ.

— მფრინავი მიტინგი ქვიხ ცოცხალს, მკაფიოდ გამოთქმულ სიტყვებს მარტყ მოხსენებას, რომელსაც მოყვება ცოცხალი კამათი, კამათს სიტყვა, სიტყვა — საქმე.

— მაინც რაზეა მიტინგის შინა-არის მიდრეკილი?

— ახალ სესხის გასაღებაზე.

— ბიჭო დავიჩემებია ახალი სესხი, ჩემსას ძველ სესხსაც არ მოუგია და ახალი მოიგის?

— ჩემმა სუყველამ მოიგო! —

— მართლა!

დიახ. ერთმა მოიგო ზაჭესი, მეორემ რიონჭესი, მესამემ აჭკესი, აბჭესი, ალაზანჭესი. მეოთხემ — ფეროგიფინტი, მუდის ფაბრიკა, ელექტრო - მავალი. ტრაქტორი, კომბაინი. მე-5 ობლიგაციამ მოიგო „სოფხოზებ“, „კოლხოზები“ შქრის ქარხანა; საკონსორციო ქარხნები, ახალი სკოლები და სხვადასხვა.

ერმალოს ნაცრობმა თავი ჩაქინდრა და გზას გაუდგა, ერმალომ კი ქარხნისკენ მოუსვა და თან გზაში მარშის ხმაზე შემოსძახა.

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი. შევიძინეთ ყველამ ინდუსტრიის სესხი. არ გამორჩეს კაცი, არ გამორჩეს ქალი მტრებს კი დაუყენოთ დასავსები თვალი. ინდუსტრიის სესხით ნაღდათ ყველა იგებს. აბა გადახედეთ ქარხნებს და ფაბრიკებს. ის ცხოვრებას რჩება ვინც ამას ვერ იგებს, გაუმარჯოა მტკიცეს პროლეტარულ რიგებს: **ქმედოლდა.**

აუტო-და-ფე—კანონი ცოცხალი ადამიანის დაწვის შესახებ, გავრცე-
 ლი იყო საშუალო საუკუნეების შემდეგ ესპანეთსა და პორტუგა-
 ლიაში, სადაც ინკვიზიტორები წვედენ „ურწმუნოებს“. ასეთივე ამბები
 ხდება დღეს ფაშისტურ გერმანიაში, სადაც ფაშისტები საჯაროდ წვევენ
 კულტურის უდიდეს წარმოებებს: მარქს-ენგელსის, ლენინის სტალინის,
 ცეაივის, რემარკისა და სხვების.

აუტო-და-ფე

ნახ. კროტკოვის.



ჰიბლინი

აჰა, უკვე მივალწი
 ჩასაც დღემდე მე ვმეწარაფი...
 უკან, უკან წარსულისკენ...
 აუტო-და-ფე... აუტო-და-ფე.

ჩაბა ჩუბა

1. მოლოდინი

უკვე დაცხა, აგარაკზე
თუ არ წაველ კოჯორში
ჩემი ცოლი ეფროსინე
მეტაკება ქოჩორში, —

ან გამბუტავს წიწილივით
ან გამიტებს თავსა,
და თუ წაველ, შოფერები
გამაძრობენ ტყავსა.

„ბატკანი ვარ განწირული
თავს ვერ ვიხსნი, მჯერა
„საქვზატრანსო“ შენ დაგეჭვ
ჩემი ცოდვით კერა.

2. „ზომები“ და ომები

უბედური „სლოქი“ — რამე
ყველას თავზე ყოფილა,
ქურდმა ბინა გამიტებსა,
დავრჩი „დედისობილა“.

გამოფერინდი გარეთ როგორც
დაკუნეილი ფუტკარი,
მილიციას მივაშურე
გასაჭირი ეუთარო.

მანც მიიღო ჩვეულებრივ
„ყოველგვარი ზომები“
ოქმი „გააშანშლა“ და
„დაამთავრა“ ომები.

3. კანდიდატი

რად სჯობია სალაროში
როცა ყიდი ბილეთებს?
(ეს ეხება ზიკნის გზას და
ქაფართმეულ მილეთებს).

სულ ერთია მოლარისთვის
იწვიმებს თუ ითოვებს, —
„საქმეს“ მაინც ხელს არ აკლვსა
ხურდას მაინც იტოვებს.

ამ საქმეში კი ქალაქის
სადგურია პირველი,
მის ეძღვნება ჩემგან მალე
„ძღვენი გასაკვირველი“.

მედუსა

— რატომ მახდევინებთ ჯარიმას?

მილიციელი: — ყველა მოქა-
ლაქე ვალდებულია გადაიხადოს ჯა-
რიმა ტრამვაიზე შეხტომის დროს.
— კი, მაგრამ ტრამვაის ვაგონი
რაღას იხდის, როცა იგი მოქალაქეს
შეახტება ხოლმე?



— მეორე ხუთწლედის სესხს აღარ იძენ?
— მოცლია შენც! სად მაქვს გასასესხებელი ფული? ვერ ხედავ,
ხუთი კვარტის გადასახდელია?!

ქერი

დიასახლსაში გამოკეტა ოთახის
ვარები და ბაზრისკენ გასწია, ჩან-
თით ხელში. არ გაუვლია ხუთ
წუთს, იმავე ოთახს ლამაზად ჩაც-
მული მანდილოსანი მიადგა, გააღო
ყარები მორგებული გასაღებით და
შიგ შევიდა. მიათვალ — მიათვლი-
წრა იჭაურობა, მოაგროვა ძვირფა-
ნი ნივთები, რის წაღებაც კი შეიძ-
ლებოდა, გამოკრა ფუთაში და ის
იყო გარედ უნდა გამოსულიყო,
რომ ამ დროს მომავალი დიასახლი-
სი დაინახა. უცებ შეტრიალდა, ფუ-
თა მაგიდაზე დადო და თვითონაც
იქვე ჩამოჯდა.

დიასახლისი უცბო მანდილოსანის
დანახვაზე საშინლად გაფითრდა, ში-
შისავან კანკალი აუტყდა, მაგრამ
მოიკრიბა ძალდონე და გაკვირვე-
ბით შეეკითხა:

— ვინა ხარ შენ, ან როგორ გარ-
ნდი ამ დაკეტილ ოთახში!

— ვინ უნდა ვიყო, ამ ოჯახის
პატრონის ცოლი ვარ.

— ცოლი შენ კი არა, მე ვარ
რას მიქარავ!

— მართალია, დღემდე შენ იყავი,
მაგრამ დღეიდან მე ვიქნები.
აგერ ხუთი წელიწადია, რაც მე და
ის ერთად ვცხოვრობთ და მის ხელ-
ში ორი წლის ვაჟიც კი მყავს. დღე-
საც თვითონ ვადმომსახლა აქ...

დიასახლისის ცოფი მოერია, ეცა
და კინწის კვრით გაავლო გარედ.
შემდეგ წამოაგლო ფუთას ხელი და
თავში ესროლა. ამ უკანასკნელსაც
ეს უნდოდა, მოხდენილად დაიჭირა
პაერში, ამოიღო ილიაში და არ-
ხეხად გაუღდა გზას.


გონება დაკარგულ დიასახლისს
„ისტერიკა“ მოუვიდა, ჩაემხო ლო-
გონში და დიდხანს ქვითინებდა, თა-
ნაც ქმარს ემუქრებოდა და ლანძ-
ღავდა, მაგრამ უცებ გაუეღვა თავ-
ში: იქნებ ქურდი იყო, წამოვარდა
და სალაროს და საკუჭნაოს ეცა, მა-
გრამ გვიანდა იყო!

აფერისტი ქურდი უკვე სამშვი-
ლობოზე იყო, რომელსაც თავის
ხელითვე ჩააბარა საკუთარ ნივთე-
ბი.

ხუშარა.



ფოი ჩი, მთავარ კანტორაში



სასაქონლოს განგზი (მუშებს):—რას უცდით, ხომ ხედავთ დღეს ვერძი აღარ არის („ადიდებს“) — მიირთვით, მიირთვით თქვენი დაბაბის ჭირიმე!

მ რ ი გ მ ი რ ი

ჭიათურის პურის წერტილებიდან მიღებულ პურში ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე გამომსვლარ (ან კიდევ—მოხრაკულ) ტარა-კანას ნახულობენ.

გა—ტი.

ჩვენ სპეციალურად დავავალეთ ამ საკითხის გამორკვევა ჩვენს ჭიათურელ ნიანკორს ვანის.

ნიანკორი გამოცხადდა პურის ერთ — ერთ წერტილში და შეეკითხა გამყიდველს:

— რატომ აყოლებთ პურში ტარა კანებს?

გამყიდველმა ხალათის სარტყლის ზონარი შეიფსკენა და არხენად უბასუხა:

— მაშ თერამეტ კაბიკად ქიზი-ყიდან ჩამოყვანილ კამერებს ხომ არ გამოვყაყალებთ?

და მარცხენა ხელის მაჩვენებელი თითი 5 — 6 სანტიმეტრით ცხვირის ნესტოში შეუძახა.

სუფის მუშაკოპში ნოჭრების მეტის მეტად გაბერილი შტატი ირიცხება. საქონელი შიგ ცოტია, არის მხოლოდ მოზრდილი წარწერა, რომ მომხმარებლებს ევალებათ ნოჭრებისადმი ზრდილობიანად მოკიდება.

უ—ტი.

„ეს განცხადება სრული არ არისო!“ გვწერს ნიანკორი: მას კბრდება გაგრძელება, კერძოდ, უნდა მიემართოს ასეთი ტექსტი:

„... სამაგიეროდ ნოჭრებსაც ევალებათ ზრდილობიანად მოკიდება... მაგრამ არც ეს ვარჯა; უნდა იყოს „ზრდილობიანად მოპყრობა“ თორემ, თუ ჩვენ ვთქვით

ნოჭრებს ვვალებათ ზრდილობიანად მოკიდება, ჩვენს კოოპერატორებს ფართლის მოკიდება ევონება და რა საქიროა ცეცხლზე ნავთის გადასხმა: ეს საქმე ულოზუნგოთაც ტარდება ზოგიერთ ჩვენს კოოპერატიულ ორგანიზაციებში.

გ—ვა.

ნახ. დონის.

ვანო ნოლისმცემელი

სოფ. ათაბასი (დღემეთის რაიონი) — თქვენი თეორემა შეიღმა, რომელიც პარტ-კანდიდატია შინ მღვდელი მიიყვანა და ბავშვი მოანათლია.

უ—ტი.

ერთი უყურეთ ამ ჩვენ გმირს არანისელსა თომასა, კიდევ ვერ გაღაჩვეულა ეკლესიებში ძრომასა.

„სახელს“ მიიხვეჭს ცხადია ამ მამაპაპურ გმირობით ლაშარის ხატში წასულა ბავში უნათლავს მირონით

ცხადია დაუფასებენ თომას ამნაირ შრომასა, და წმინდის დროზე პარტიაც მირონს აპკურებს თომასა.

კირაკიტა

სადღეგრძელო



— ამხანაგებო! არ იფიქროთ ვითომ ეს ნადიმი მითომ გაგიმართეთ, რომ პარტიის კანდიდატობა მინდოდეს! კომკავშირიდან გამომცოცხეს, მარა მე არ ვწინები სურამის კოლხკოლის გამვის თანაშემწე მიქაძე, თუ მაგათ დედა არ ვუტირო! ეს გაუმარჯვოს ძმა-ბიჭობას, მოხერხებას და პურ-მარილის ძალას!

თავის რიგზე

- როგორ არის თქვენთან მუშათა გამომგონებლობის საქმე?
- ეგ საქმე ჩვენ არ გვგებდა; მიაკითხეთ მეზობელ სექციაში.
- სწორედ თქვენ გვგებათ
- რაო, რა სთქვი?
- მე გეკითხებით, როგორ არის თქვენთან მუშათა გამომგონებლობის საქმე?
- ჩინებულად! ყველაფერი თავის რიგზეა შიგ ჩაკერილ რ ჩალაგებული.

სასწრაფო დახმარება სოცუმი, ანუ ავადმყოფების საიმროს განგზავრება!

მარცხნივ ტუხური,
მარჯვნივ რიონი
დადის, იცინის,
ბესარიონი.

— რა გაციენებს ბესარიონ? პრავლჯერ მითქვამს შენტვის: შუბი ხალთაში არ დაიშალება-მეთქი!

— მერე...

— ოდესმე გამოჩნდება-მეთქი!

— მერე...

— ხიფათს შეგყრის-მეთქი!

— მერე...

— ეარცხვენ პარტიას-მეთქი!

— მერე...

— მერი და ვის გაუფონია ამდენი აფერისტობის და ყალბაზანლობის ჩაღენა, — ისიც მოკლე ხანში და ყველგან.

— მერი...

— აბა დამიგდე ყური:

— შენ არ იყავი სამტრედიელ ვაჭრებისაგან 6.000 მან. საქონელი რომ იყიდე და ჩააბარე მალაზიას უფაქტუროთ?

— ვიყავი...

— შენ არ იყავი ვაჭარ ბზიავას მანდატი რომ მიეცი საქონლის შესაძენად და სამპაგიეროდ მისგან 500 მან. „ფეშქეშად“ მიიღე?

— ვიყავი...

— შენ არ იყავი რეესტრის წიგმვე სიმონიას 500 მან. რომ გამოართვი უხელწერილოდ და შემდეგ „ატკაზი“ უთხარი?

— ვიყავი...

— შენ არ იყავი რეესტრის წიგნიდან გაცემული მანდატების №18 ბი რომ ამოშალე იმ მიზნით, რათა ვაჭრებთან კავშირი დაეფარა?

— ვიყავი...

— შენ არ იყავი ვაჭარ სუბელაშვილის მიერ აღესიდან გამოგზავნილი ლურსმანი რომ გაყიდე უფაქტუროდ და მისი ღირებულება და მოგება არ გაატარე ბუღალტერიაში?

— ვიყავი...

— შენ არ იყავი ახალ-სენაკის საკრედიტო ამხანაგობამ ყლაპვისათვის რომ მოგხსნა?

— მერე რა!

— შენ არ იყავი ბათუმის მუშკოვში ყოფნის დროს საქონლის სპეკულიანტებზე გაცემისათვის რომ მოგხსნეს?

— მერე რა!

— შენ არ იყავი აბაშის ინვალისა კოლონიალის თანამჯდომარეობის დროს ყველა ეს სისაძაგლე ჩაიბინე და მოგხსნეს?

— მერე რა!

უკანონოდ შობილი

(სამტრედიე)

არის საღლაც სამტრედიე,
(ქალაქია ახალი),
სამტრედიის ერთ კუნძულში —
სკოლა — ტიპით მაღალი.
ვით მიდიის ისტორია
უცნობი და ბნელია, —
ამა სკოლის საქმის ცოდნაც
არა ნაკლებ ძნელია.
თებრვალოში სამუდამოდ
დაეხუჭა თვალები
და თან გაშყვა მასწავლებელთ
გარდუხველი ვალები.
შეტორილი მისი მოხდა
ადვილობრივ ძალებით:
გამგე თავის თანა ემწით
ვადებს მწუხარ თვალებით.
ჯანგელისეს ცრემლი ვასდის,
კაცო იტყვის, თუ რუა,
მის გოდებას უხმა-მწარებს
ქრისტეფორე სტურუა:
„ჩემი ცოდვით საჯდე იყოს
ვინც ამ ცეცხლში შემავლო
არც მიწამეს დე - იურე,
არც მიმიღეს დე - ფაქტო.
„ხუთი თვეა, რაც ვიძახი:
— მოვა ფამავირები. —
ახლა-რა ვქნა, რომ ვაცრუვდა
ჩემი დანაპირები“.
მოწაფეთა ხეტილით
შვენდებიან ქუჩები,
სხვაზე მეტად მათ აწუხებს
საქმე მინაყურები.
თუმც ბრძანებებს აღრიდანვე
მოელოდნ „ფიცხელებს“
მაგრამ დღესაც ამის გამო
თავს არავინ იცხელებს.

ლარიბი

მშვენიერი მშვენიერი მშვენიერი მშვენიერი

— შენ არ იყავი პარტმანდატი რომ ჩამოგართვეს?

— მერე რა!

— შენ არ იყავი ციხის კარებს რომ ამტვრევდი?

— მერე რა!

— და ამიტომ გეუბნებოდი: შუბი ხალთაში არ დაიშალება-მეთქი!

— არ დაიშალა თუ?

— როგორ, თავისუფალი ხარ?

— აბა რა!

— როგორ მოხდა ეს?

— ეს მე ვიცი...

...და დღეს ჩვენი ბესარიონიც, დიდი „თავგადასავალის“ მქონე ბესარიონი მდ. ტუხურისა და რიონის შუა უდარდელოდ დადის და იცინის...

ზაზნელი ბზიკი.

№ 1541 ორთქლ-გავლის მოთქმა

(სინამდვილე)

შუბელურ სათხე ყოფილა განგნილი ორთქლმავალი № 1541. საწყალი სულ ავადმყოფობაში იმყოფება. საავადმყოფოში (ე.ი. მთავარ სახელოსნოში) ხშირად წევს, მაგრამ რა გამოვიდა. როგორც კი ოდნავ წამოაყენებენ ფეხზე, მაშინვე ჰკრავენ პანლოუს და გამოაგდებენ გარედ — წადი და განაგრძე მუშაობაო.

საწყალი გაიბრენს რამოდენიმე კილომეტრს თუ არა, გაეხსნება ძველი მოუშუშებელი კრილობები და ისევ საავადმყოფოში უკრავენ თავს. მასაც კვლავ ცრუ ექიმები (ე.ი. ხელოსნები) უწევენ ექიმობას, რამოდენიმე ხნის განმავლობაში ისევ საავადმყოფოს უნდა მიაშუროს, ასე გრძელდება მისი ტანჯვა.

ორთქლმავალი ეკუთვნის ქუთაისის დეპოს. ორი თვე არ იქნება, რაც მთავარ სახელოსნომ ხსენებულ ორთქლმავალი ვითომ შეაკეთა და გაუგზავნა ქუთაისის დეპოს. საწყალმა რაღაც ორიოდ კილომეტრი გაიარა და ჩავარდა ლოგინად. სახელოსნოდან სასწრაფოდ იქნა გავწეული შემდუღებელი, რომელმაც ვითომ ფეხზე წამოაყენა. დაბრუნდა უკან რამდენიმე დღის შემდეგ. თქვენ წარმოიდგინეთ ხსენებულმა ორთქლმავალმა თითქმის ერთი კვირა იმუშავა, მაგრამ კრილობა კვლავ გაეხსნა და სახელოსნოდან კვლავ იქნა გავწეული 2 ავტოგრის მოხელე; რომლებმაც ისე, როგორც სხვებმა „განკურნეს“ მაგრამ 5 მაისს ისევ ლოგინად ჩავარდა ავადმყოფი. ექვს მაისს კი აღმინისტრაციას მოუვიდა გული და ასეთი განაჩენი გამოუტანა: „ორთქლმავალი № 1541 იქნას გამგზავრებული სახელოსნოში ერთი მემანქანისა და ერთი თანაშემწის თანხლებით.

მართლაც ორთქლმავალი 6 მაისიდან 9 მაისამდე მოუწადა მთავარ სახელოსნოში მისვლას, დახარჯა რამდენიმე ასეული ფუთი საწვავი მასალა და მოცდა ორი პასპისმგებელი პიკა.

ახლა ორთქლმავალი ტვილისში იმყოფება. მან ვადაწყვიტა — ძლიერ ნიანგს აცნობოს მის გარშემომომხდარი უმცავსოება და განაჩენი გამოუტანოს მათ, ვისაც ეს საქმე ეხება.

ა. საშირხივილი.

ნიანგის საკბილო

ეროვნული
გენერაცია

სონი

შალიკო ქუთათელაძე
მოხერხებული კაცია,
ზონის თამბაქოს სავაჭრო
საკუთარ ლუქნად აქცია!



წეწიკობა ქურდები
როგელივ პატარა-დიდია,
„გაცოცებენ“ პაპიროსს
ჩუმად ბაზარზე იყვლიან!

ტყიბული

ტყიბულის საავადმყოფოს
არ ყავს მზრუნველი ხელია:
საჭმეს არაფერს აკეთებს
ესი მკამელი ბიგრია!



გაფეც ლაყბობს და ქაქანებს
ხან გამოჩნდება, ხან არა,
საავადმყოფო საწყალო,
სანაგვის ბუდეთ გამხდარა!


ტყიბულში რაი-ფინგანი
მართებულად ვერ „ფინგანობს“,
მისი მართველი ქაბუქა
აეზნეობს და ინტრიგანობს!
დასწავლებლების ჯამაგორს
შედ აზის, როგორც კრუხია,



სხვებზე არიგებს ფულებსა
თავის ძმა-ბიჭთან უხვია!

სტალინისი

უსაქმო არ გეგონოთ,
ელმასკომში მსახურობს,
ზრდილობა არ სჩვევია
ქაქანობს და ფაფხურობს!



წერეთელსა შალიკოს
ვინ არ იცნობს დაბაში,
ხალხს უკურობებს დედსა
ვაქვაცია მამაცი!

გოჭი

(სამტრედიის რაიონი)

შემსალაროში ზის
და ფულებს ჭამს,
ქეიფობს დავითი
კვარტებით სვამს!



გამოცდილია
არა გავს ხამს,
ამგვარად „მუშაობს“
არ კარგავს წამს!

სენაკი

რკინის-გზის საყუდს
უფროსი „სპეცია“
სენაკის სადგურის,
ის არის მესია!
მან იცის ვინც არის
და კიდევ ქედულობს,
სიარულს ამიტომ
ფეხით არ კადრულობს!



უბრალო რამესე
ორთქლმავლს აქენებს,
ეს სოკოლოვია
საყუდს რომ ამშვენებს!

ივლიანე ნადარია
ჭატი გადაჩაჩხულია



ნოქრებს ლანძღავს და ავინებს,
ჩხუბით არის გართულია!

აგალი სოსხი

თუმცა პოეტი არა ვარ, ძმაო,
არ მეხერხება ლექსების წერა,
მაგრამ ასეთმა ენტუზიაზმა
მოხუცებული მეც ამაძღერა!
მუშა-მსახურსო, კოლმეურნენო,
მოვდივარ ხეხზე ხელმოსაწერად.
მესმის მე თქვენი სიტყვა-ძაწილი,
მეც თვიურ ხელფასს გავიღებ მთელად!
თქვენ ყველამ კარგად იცით, რაც ხდება,
და არ გჭირდებათ აგიტაცია,
აბა რა არის იგი მშრომელი,
ვისაც არა აქვს ობლიგაცია!
ერთი მითხარით, ის რა კაცია,
ვისაც არა აქვს ობლიგაცია
და მას სჭირდება მის შესაძენად
ზევრი ბეობა და აგიტაცია!

ჩვენ საკუთარი ხელით და ღონით
ავაგებთ ყველგან ფაბრიკა-ქარხნებს,
და სოფელს მივცემთ მილიონობით
ახალ ტრაქტორებს და სხვა მანქანებს.
გრიმლი.





— შეიდი ძალნი... ამდენი კი არის ჩვენს მაღლაკში? რეალურია განა ეს დირექტივა? არის განა ის შეფარდებული მაღლაკის სპეციფიურ პირობებთან? აქ ხომ ძალოს იმდენი ვასაქანი არ აქვს, რამდენიც კატას... დირექტივა რომ შეეხებოდეს კატების დამზადებას, იცოცხლე თავიც ვასახელო და მთელი მაღლაკის მუშურ - გლახური მოსახლეობა! მაგრამ სად უნდა შევავროვო შეიდი ძალნი და ისიც ისეთი, რამელიც არ ჰყავს. მართალია, აქა - იქ შეხედებით ძალოს, რომელიც ეხლანდელი კულაკივით შემპარავია, არ ჰყავს თავისი მუხანათური განზრახვის სისრულეში მოყვანის პირველ სტადიაში, მაგრამ იცოცხლე ბენს-ხომ დაიყუფეს.. საბოლოო ჯამში, ისიც ხომ ჰყავს... ჩავარდი ერთი სიტყვით... დამამუშავებენ...

ასეთ ფიქრებში იყო ამხ. კაჭკაჭი-შვილი, მიმაგრებული პ.-მგ. მუშაკი დამზადებათა საქმის ხაზით მაღლაკში (ქუთაისის რაიონი), ხელში ეჭირა ჭიათურის ერთ - ერთ გავრთიანებიდან მიღებული ფიცხელი დირექტივა — რომელიც უმთავრესზე უმთავრეს ამოცანად საგანაგებლო კამპანიის ეხლანდელ გადაწყვეტ პერიოდში მის (ე. ი. კაჭკაჭი-შვილის) წინაშე აყენებდა 7 ძალოს დამზადებას. ძალნი ონდა ყოფილიყო დამზადებული დაკერიით წესით. კონკრეტულულობის ნიშნულად დირექტივაში ნათქვამი იყო, რომ „დაეტყუეთ ისეთ ძალებს, რომლებიც არ ჰყუფენ და არ სდარაჯობენ პატრონთა ქონებას“. ანუ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, გაურბიან მუშაობას და უხეშად არღვევენ შრომის დისციპლინას.

გაილო კარი და კაჭკაჭი-შვილთან შევიდა თანამშრომელი, რომელმაც აჩქარებით დაიწყო: „ქუთაისიდან რბილი მანქანით პასუხისმგებელმა მუშაკებმა ჩაიჭოროდეს...

— არიქა ბიჭო, სარი... თოხი... ცუდი... წაღდი... დავერიოთ ძალებს, თორემ დავიღუპე! მომხსნიან... ოლბად იმისათვის დადიან, რომ ძალების დამზადების დავალების შესრულება შეამოწმონ...

კაჭკაჭი-შვილი თავის ამხანაგთან ერთად სარით ხელში დასდევდა ძალებს, რაცა ერთი ძალოგაზრდა მიეზარდა მასთან ასეთი ამბით: „ავტორიზილიმა ძალნი გაიტანა“.

— აღარ ჰყავს?
— ცხადია, თავი გაქეპულია აქვს.

არიქა, მიშველეთ... ამაზე უკეთეს ექსპონატს სად ვიშოვი, — სიტყვა კაჭკაჭი-შვილმა და გაეჭანა გზატკეცილისაკენ.

მაგრამ დახეთ! ძალნი ჰყუფდა. ჰყუფდა კი არა ანგრევიდა ყველაფერს თავისი პატრონის ეზოში. ძალიან აღშფოთებული იყო ქუთაისის პასუხისმგებელ ამხანაგების აქციევლით, რომელთაც ავტომანქანა კანონით გათვალისწინებულ სისწრაფეზე უფრო აჩქარებით მიჰყავდათ და არ იჭონიეს ძალოსადმი პატივისცემა. მაგრამ მაინც მაღლივი იყო ბედის, რადგან უკნებლად გადაიჩინა ის ძალნი ეხლაც ჰყუფს და საერთოდ ყველა ძალები ჰყუფენ მაღლაკში. რა ჰქნას ამხ. კაჭკაჭი-შვილმა?

სეგვირ-ბენ-შეის.

მავნებლები

მ. ვალა

თავმჯდომარე თემსაბჭოსი აბულაძე ილა—
უგრანობელი მთვრალი არის ღამეა თუ დღია.
ამბობს: „საქმე თემსაბჭოსი მკიდილა ფეხებს“, მთელ დღეებით აცდევინებს მისთან მოსულ გლეხებს. სამკითხველოს ერთხელ კიდევ უნდა ვავკრა კბილი ვერ იქნა, ვერ დაივიწყა მთქმარება და ძილი.
ამ ერთ წელში შეიცვალა გამეგ, თითქმის ათი... (ნიაგისთვის ცნობილი სახელები მათი).
გაზეთები იკარგება, ზოგიც მოღის გვიან და მათ შორის, ვერ ვეღირსე მე, აქ უფროა „ნიანგს“. სამთავისის კოლექტივის თავმჯდომარე—გულა, შეეჩვია ვარტყმას, ქვიფს, დიღს, ვარმონს და ზურნას. ამ საქმეში არ ჩამოიჩინა ვასილიც—ძმა მისი, ღვინოებში ხშირად ცვლიან კოლექტივის სიმინდს. კასპის საბჭოს თავმჯდომარე—(უხანაძე გვარი). სხვა „გმირებზე“ უკან მყოფი არც ეს ბიჭი არის! ისიც ძაან ეტანება: არაყს, კახურ ღვინოს... ისე ხმას არ ამოიღებს, რომ არ შეგავინოს.

სატანა

ამ წერილს გიგანა — ტყიბულობა მაღაროებიდან, სადაც მე სპეც. მარგში დიდრად ვარ. თვიურ ძირითად ხელფასს ვღებულობ 700 მან.; მაგრამ მაქვს კიდევ სხვა შემოსავალიც. მაგ. „გვიდან“ ამას წინად ავიღე 600 მანეთი. გელათიდანაც ვღებულობ სისტემატურად თვიურ ხელფასს. დირექციას ყოველ დავალებაში ვახდევინებ ფულს. ერთ პოლიექტს ვყავი რამდენჯერმე. ერთი სიტყვით, შემოსავალი ბევრი მაქვს, მაგრამ კიდევ მეტი მინდა. (სხვათაშორის, პენსიასაც ვღებულობ).

ამას თავი დავანებოთ. სხვა რამეზე მინდა მოგწერო: საქმე იმაშია, რომ აქ გაიფეს ჩემი წარსული. მართალია, თავი რევოლიუციონერად მომქონდა, მაგრამ გაუგიათ, რომ თანდარმერიამში ვმსახურებდი და ორა ჯვარი მიმშევენებდა გულმკერდს.

წარმოიდგინე, ჩემო კარგო, ისიც კი გაიფეს, რომ კულაკის სიძე ვარ და მასთან დიდი კავშირი მაქვს!

ისიც გაუგიათ რომ უკრანიდან და შემდეგ ოსეთიდან რომ გამომისტუმრეს.

ეჭვს; ძალნი ცუდი დრო დადგა! დიშვილი მივიღე სამსახურში და პოლიტიკა დამწამეს.

ორ ოლაგას ვღებულობ პურის ოჯახის წევრებისათვის (ქუთაისში და ტყიბულში) და ამის შესახებაც შარი ამიტყვენს.

რაცა შევატყუე, რომ მთელი მაღარო ამხედროს ჩემი ასეთი საქციელის წინააღმდეგ და აღარ შეიძლება ჩემებური პოლიტიკის კვლავ ვაგრძელება, — ავდექი და დავიწყე ღვინის სურათის ხატვა (რა შეილი მნატვარიც ვარ, შენ კარგად იცი). დავაწყე და ოჩენე ყველას, თუ რა დილა, რივოლიუციონერი ვარ და რივო გორ მიყვარს არსებული ხელისუფლება!

მიუხედავად ასეთი ღონისძიებების მიღებისა, მიზანს მაინც ვერ მივალწვი და კოვში ნატარში ჩამივარდა...

მე დარწმუნდა აქ წავიღებ წერილი, დასრულებული არ არის, სოლო წერილს ბოლოში აწერია:

ალექსანდრე ტარ - სტანკა ნოვი.

ეს წერილი სრულიად შემთხვევით ჩავიკვარდა ხელში.

გუ—რიბა.

საქიოს გაფხვი კალა

ანარიის საბჭოთა მეურნეობაში ცუდი კვების და მოუვლელობის გამო მოკვდა 6 ცხენი.



ნახ. ქოქიაშვილის.

როგორც ამ სურათიდან ხიანს გამწვემა ძალამ საქიოსკენ გასწია. საით უნდა გასწიოს გამწვევი ძალისამ გზით გაწევაში გამწვევა?

ე რ ვ ა

გამგნის უმსრულევა

სოფ. ჩიხა. (საჩხერის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარე იაკობაშვილმა დაამთავრა მუშ-პირუტყვის „მუსრის“ გავლენის წლიური „გეგმა“, ჯერ ჯერობით იაკობაშვილის მიერ საქიოს გამგზავრებულა 11 სული მოშა-ხარი, ანუ გეგმის 106 პროც.

ობრკსელი

იხედს არ კარგავს

საჩხერა. საგაზეთო ბიუროს უსტაბაშ ირ. გაფრინდაშვილს ჯიბიგებმა ჯიბიდან ამოაცალეს საგაზეთო ბიუროს კუთვნილი და მის მიერ „შეიმასქნებულ“ ფული. გაფრინდაშვილი ამბობს: „სულ ერთია თანხა მაინც ნაქურდალი იყო და კიდევ ავინაზლაურებო“.

ელი.

ვირთაგვები

სარაბო.უ.ს.ლი. საქვაჭრ. მალაზიაში გამრავლდნ ორფენა ვირთაგვები, რომლებიც ანადგურებენ საქონელს. ვირთაგვებთან ბრძოლას არავინ აწარმოებს. ვირთაგვებს მეთაურობს მალაზიის გამგე.

უშვური

უხედური უფითხევა

სენაკი. რაი-მომარაგების ინსტრუქტორს გ. ზარანდრას, როცა იგი მასთან საქმისათვის მისულეს ჩვეულებრივ უკუთხებდა შეუწყუნდა გული და მოუვიდა დამბლა. ექიმების დასკვნით მას ესაჭიროება გრძელი ენის ცოტათი დამოკლება. მიღებულია ზომები ოპერაციისათვის.

გეი

„უდანაშაულო მსხვერპლი“

ზორაკანი. ადგილობრივ სასაღილოში გამეფებულ სობინძურს გამო განდა შავი ქირი, რომელმაც იმსხვერპლა გამგე—ბაკურაძე, დანარჩენმა მოსამსახურებმა გაქცევით თავს უშველეს.

ჭურღის გაჭურღვა

სტალინისი. კოპ. გამგეს—ლევიძეს მოჰპარეს სენადახვა საქონელით ავსებული ხურჯინი, რომლის სახლში წადებას ჩვეულებისამებრ იგი აპირებდა.

ახალი



რბნს (ცაგერი) არ ვიზიარებთ თქვენი ლექსის ერთერთი კუბლეტის დასაწყისს—სადაც ამბობთ (ლაპარაკია ცაგერის კლუბზე):

კლუბში შესვლა უნდა ნელი, თორემ შენი მტერი, არშინიანი სიმაღლის აფეთქდება მტვერი...

ამ შემთხვევაში, „კლუბში კი არ უნდა შესვლა ნელი“, არამედ ინსპექციაში უნდა „შესვლა ჩქარი“.

კალმს (აქვე) იწერებით:

მუცლის ტიფით ავად გავზლი დობტური არ მომეკარა თუ მოვიდა თვალის ქნევით თოქოს გეტყვის: მომე ფარა“.

„დობტურის“ რა გითხრათ და ექიმებზე ასეთი აზრის გაზოგადება სიმაართლეს მოკლებულია.

ცირას (სამტრედია) ჩვენ ვერ ვავიგეთ, რისი თქმა გინდათ როცა ვინმე მასწავლებელ მაროს შესახებ იწერებით.

ამ კუთხე, რომ მოველინა მან დათესა შური — ტრფობა შორეულს ვილაცას უმღერს არ სურს ჩვენი მეგობრობა.

თუ შური დათესა, ტრფობას როგორ დათესდა?

ჭრიჭინი (სუფსა) როგორც გავს ძალიან „დიდ კაცად“ მოგჩვენებია სუფსის საბჭოს ყოფილი მდივანი ყისარ გუჯაბიძე, როცა მის სუფსაში ყოფნას თქვენთვის მოსვენება დაუკარგავს და დიდს ამბით იწერებით:

ცოტა ხნით თვალს მიეფარა, სუფსაში არ ჩამოსულა მაგრამ ეხლა რომ დაბრუნდა წასვლას აღარ ფიქრობს სულა.

მოდგეს და იყურყუტოს, ძველ ადგილს მაინც ვეღარ დაიბრუნებს!

გაფრთხილება (ნიანგკორებს). საქიროა დასაბეჭდ მასალასთან ერთად ჩედაქციას მოსწეროთ ცალკე საკმაო ახსნა-განმარტება იმის შესახებ თუ ვის ან რა ფაქტს ეხებით თქვენს წერილში. ამის შეუხრულებლობის გამო ზოგიერთი გამოგზავნილა მასალის გამოყენება შეუძლებელი ხდება.



ნახ. ნადარეიშვი

ენი



ეს საშუალება გამოყენებულ იქნა მედინსტიბუტთან არსებულ კბილის მეურნალობის კურსებზე, სადაც ადგილი ჰქონდა ტროცკიზმ - მენ-შევიზმით გახრწნასა და დაავადებას.